საჯარო მმართველობის რეფორმის
2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების კალენდარი

წინამდებარე კალენდარი აღწერს საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის (სამოქმედო გეგმა) შემუშავების ოთხთვიან პროცესს.

სამოქმედო გეგმის შემუშავებას უხელმძღვანელებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი. პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან შესაბამისი საჯარო დაწესებულებები და საერთაშორისო პარტნიორები საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს (საბჭო) სამუშაო ჯგუფების ფარგლებში.

განხორციელების ვადა	**19 სექტემბერი, 2018**
ღონისძიება	**საბჭოს სხდომა**
აღწერა	2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის განხილვა; ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მმართველობისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროექტის (OECD/SIGMA) ექსპერტები წარადგენენ საბაზისო კვლევის ანგარიშს თემაზე - პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია
პასუხისმგებელი	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია
სტატუსი	დასრულდა

განხორციელების ვადა	**24 ოქტომბერი**
ღონისძიება	**საბჭოს სამუშაო დონის წარმომადგენელთა შეხვედრა**
აღწერა	(1) SIGMA-ს მიერ საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის შუალედური შეფასების ანგარიშის წარდგენა (2) 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის განხილვა (3) საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევით (გზამკვლევი) განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებებისა და ამოცანების გადახედვა და რელევანტურობის დადგენა
პასუხისმგებელი	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია UNDP საქართველოს მხარდაჭერით
სტატუსი	მიმდინარეობს დაგეგმვა

განხორციელების ვადა	22-26 ოქტომბერი - სამუშაო ჯგუფების შეხვედრები (პოლიტიკის დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი; სახელმწიფო სერვისების მიწოდების სამუშაო ჯგუფი; საჯარო სამსახურის რეფორმის სამუშაო ჯგუფი)
ღონისძიება	**საბჭოს სამუშაო ჯგუფების შეხვედრები**
აღწერა	შეხვედრის მიზანი: ○ სამუშაო ჯგუფის სახელმძღვანელო წესების განხილვა ○ გზამკვლევით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებებისა და მიზნების გადახედვა და საჭიროების შესაბამისად განახლება; გზამკვლევის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების განხილვა სამუშაო ჯგუფის კომპეტენციას მიკუთვნებული მიმართულების მიხედვით და დასრულებული და მიმდინარე ღონისძიებების იდენტიფიცირება ○ ახალ სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელი შესაძლო ღონისძიებების/ინიციატივების განხილვა, რომლებიც შესაბამისობაშია საჯარო მმართველობის რეფორმის პრინციპებთან და გზამკვლევის არსებულ/განახლებულ პრიორიტეტებთან და მიზნებთან; ○ რეფორმის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჭირო ძირითადი მოთხოვნებისა და მეთოდოლოგიის წარდგენა
პასუხისმგებელი	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია
სტატუსი	

განხორციელების ვადა	22-31 ოქტომბერი
ღონისძიება	**სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით იდეების/ინიციატივების შეკრება**
აღწერა	(1) საბჭოსა და მისი სამუშაო ჯგუფების წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო პარტნიორები წარადგენენ იდეებს ახალი სამოქმედო გეგმისთვის (2) საბჭოს წევრი საჯარო დაწესებულებები წარადგენენ კონკრეტულ იდეებს ახალი სამოქმედო გეგმისთვის
პასუხისმგებელი	საბჭოს წევრი საჯარო დაწესებულებები და არასამთავრობო ორგანიზაციები
სტატუსი	

განხორციელების ვადა	1-14 ნოემბერი
ღონისძიება	**სამოქმედო გეგმის პირველი სამუშაო ვერსიის მომზადება**
აღწერა	(1) საბჭოს სამდივნო შეიმუშავებს სამოქმედო გეგმის პირველ სამუშაო ვერსიას მიღებული წინადადებების/ინიციატივების გათვალისწინებით (2) სამუშაო ჯგუფები სამოქმედო გეგმის პირველი სამუშაო ვერსიისთვის შეიმუშავებენ ინდიკატორებს, საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლებს, აგრეთვე, რეფორმის განხორციელებისთვის

	საჭირო აქტივობებს
პასუხისმგებელი	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია
სტატუსი	

განხორციელების ვადა	**14-21 ნოემბერი**
ღონისძიება	**კონსულტაცია SIGMA-ს ექსპერტებთან**
აღწერა	სამოქმედო გეგმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დოკუმენტის პირველი სამუშაო ვერსიის განხილვა SIGMA-ს ექსპერტებთან
პასუხისმგებელი	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია
სტატუსი	

განხორციელების ვადა	**21-30 ნოემბერი**
ღონისძიება	**სამოქმედო გეგმის მე-2 სამუშაო ვერსიის მომზადება**
აღწერა	საბჭოს სამდივნო SIGMA-ს ექსპერტებისა და შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების კომენტარების გათვალისწინებით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმის მე-2 სამუშაო ვერსიას და განსახილველად, კომენტარებისა და დამატებებისთვის წარუდგენს: ○ საბჭოს სამუშაო ჯგუფებს; ○ სამოქმედო გეგმის პასუხისმგებელ უწყებებს; ○ ფართო საზოგადოებას - საჯარო კონსულტაციების ფარგლებში, საზოგადოების დაინტერესებული წარმომადგენლები შეძლებენ სამოქმედო გეგმის გაუმჯობესების მიზნით დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას.
პასუხისმგებელი	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია
სტატუსი	

განხორციელების ვადა	**1-10 დეკემბერი**
ღონისძიება	**საბჭოს სამუშაო ჯგუფებში სამოქმედო გეგმის მე-2 სამუშაო ვერსიის განხილვა**
აღწერა	სამოქმედო გეგმის დეტალური განხილვის და ინდიკატორების, საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების, აგრეთვე, რეფორმის განხორციელებისთვის საჭირო აქტივობების ჩამოყალიბების მიზნით, საბჭოს სამდივნოს შეხვედრები შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან ○ შესაძლებლობის მიხედვით, აღნიშნულ შეხვედრებში SIGMA-ს ექსპერტების მოწვევა
პასუხისმგებელი	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია
სტატუსი	

განხორციელების ვადა	**10-18 დეკემბერი**
ღონისძიება	**სამოქმედო გეგმის საბოლოო სამუშაო ვერსიის მიწოდება საბჭოსთვის**
აღწერა	საბოლოო კომენტარების/დამატებების მიღების მიზნით, გეგმის საბოლოო სამუშაო ვერსიის გაგზავნა საბჭოს წევრებისთვის (საჯარო დაწესებულებები, დონორები, არასამთავრობო ორგანიზაციები)
პასუხისმგებელი	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია
სტატუსი	

განხორციელების ვადა	**დეკემბერი**
ღონისძიება	**საბჭოს შეხვედრა სამოქმედო გეგმის დამტკიცების მიზნით**
აღწერა	საბჭო განიხილავს და ამტკიცებს სამოქმედო გეგმას
პასუხისმგებელი	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია
სტატუსი	

განხორციელების ვადა	**დეკემბერი**
ღონისძიება	**მთავრობის მიერ სამოქმედო გეგმის დამტკიცება**
აღწერა	სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით
პასუხისმგებელი	პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი იურიდიულ დეპარტამენტთან თანამშრომლობით, მთავრობის ადმინისტრაცია
სტატუსი	